

ფოლკლორულ-მითოსური რეალიები
შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში
FOLKLORIC-MYTHOLOGICAL REALITIES
IN SHOTA NISHNIANIDZE'S POETRY

ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Nora Nikoladze Lomsianidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The histories of both world and Georgian literature abound with creators who maintain close ties to folklore. Among them, Shota Nishnianidze stands out as one of the brilliant representatives of 20th-century Georgian poetry.

Shota Nishnianidze revived several folk creations, infusing them with his poetic spirit, and gifted the Georgian people with deeply conceptual, remarkable, and highly artistic original poems.

The poet frequently integrates mythical layers, such as the sun and the moon as deities, based on the ancient beliefs of the Georgian people, into his poems. He incorporates variations by using fragments of the semi-mythical, heroic, and ancient epic texts, along with characters from the folk "Amiraniani" monument. Additionally, he discusses themes such as Prometheus stealing fire from Zeus. Not infrequently, other mythical characters are included in his poetry, such as Dali, Ali, Rokap, Chinka, Devi, Ochokochi, dragon, monster, and others. The poet often mentions mythical gods and heroes and incorporates biblical images, motifs, and stories into his work. Additionally, Shota Nishnianidze's poetry resonates with many folk poems and songs. The texts are integrated into the poet's work, sometimes without alteration and sometimes with partial changes. This paper will provide relevant examples.

It can be said that the majority of Shota Nishnianidze's poems are influenced by folklore, incorporating its plots, motifs, and imagery. Through the use of folklore, the poet's works are characterized by a sense of naturalness, simplicity, and musicality, which resonate deeply with readers and establish a lasting presence in their hearts and minds.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ფოლკლორულ-მითოსური რეალიები შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში.

Keywords: Georgian poetry, Folkloric-mythological realities in Shota Nishnianidze's poetry.

შესავალი

როგორც მსოფლიო, ასევე ქართული ლიტერატურის ისტორიაში არიან ისეთი შემოქმედები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს შოთა ნიშნიანისძეს.

შოთა ნიშნიანისძემ არაერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა, შთაბერა მას თავისი პოეტური სული და ქართველ ხალხს მიაწოდა ღრმაიდური და მაღალმხატვრული შესანიშნავი ორიგინალური ლექსები.

შოთა ნიშნიანისძის შემოქმედებაში ზეპირსიტყვიერების გავლენა ჩანს სიუჟეტებში, სახეებში, ლექსიკაში... ის ხშირად იყენებს ბიბლიურ სახეებს, მოტივებს. ასევე, შოთა ნიშნიანისძის პოეზიაში მრავლად გვხვდება ხალხური ლექს-სიმღერები. ტექსტები შესულია როგორც უცვლელად, ასევე, გარკვეული ცვლილებებით.

საანალიზოდ აღებულია შოთა ნიშნიანისძის ლექსების კრებული „უპირველეს ყოვლისა“ (1988).

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერისა და ანალიზის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც გაშუქებულია შოთა ნიშნიანისძის შემოქმედება. გაანალიზებულია მის ლექსებში ასახული ფოლკლორული და მითოსური რეალიები (ბიბლიური სახეები, მოტივები და სიუჟეტები); ნაჩვენებია ასევე ზეპირსიტყვიერების გავლენა პოეტის მხატვრულ ენაზე (გამომსახველობითი ხერხები და მხატვრული აქსესუარები). სტატიაში წარმოდგენილია შესაბამისი საილუსტრაციო ნიმუშები.

მსჯელობა

შოთა ნიშნიანისძე თავის ლექსებში ხშირად მიმართავს მითოსურ პლასტებს. პოეტმა იცის, რომ, ქართველი ხალხის უძველესი რწმენით, მზე და მთვარე ღვთაებები არიან. თვითსაქართველო არა მარტო ღვთისმშობლის წილხვდომილია, არამედ – მზის წილხვდომილიც:

წევს ვეფხის ტყავზე საქართველო მზის წილხვდომილი,

თავს დასდგომია იალბუზი ხელაპყრობილი (ნიშნიანისძე 1988: 7).

პოეტი ფუძისა და ჭერის ანგელოზს მიმართავს მზის საგალობლით:

მზე, მზე ჩამობარდნე რძიან ბუტკოებად,

მზე შინა და გარეთ, მზე და მყუდროება! (იქვე: 229).

ის თავის ლექსებში ინტერპრეტაციითა და კონტამინაციით ხშირად იყენებს საგმირო, უძველესი ეპოსის ფრაგმენტებს, პერსონაჟებს ხალხური „ამირანიანიდან“.

ლექსში „ლოთების სიმღერა“ ამბობს:

დავლევ და დარდიმანდი ვარ, ამირანივით დავდივარ,

სიტყვაც თავისით მომდის... (იქვე: 357).

ამირანის ძლევამოსილება და მისწრაფება გამოხატულია ლექსებში: „შემოდგომა“, „ვარიაციები თემაზე“, „დინოზავრების ნაკვალევი სათაფლიაში“ და „ქართული ზღაპარი“:

ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები,

ჩამოიარა ეზო-ეზო სავსე ხელადით,

ამირანივით მოიქნია ეს ბრგე ჭურები,
 მოიქნია და დევებივით დაფლა ყელამდი (შემოდგომა, გვ. 1157).
 შენ ამირანიც გახდები, მოსურნე დიდი დიდების,
 რა უყოთ, ერთხელ შეცდები – ნათლიას დაეჭიდები... (იქვე: 202).
 პოეტი იგონებს თავისი ბავშვობის წლებს და ამბობს:
 იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი, ხატრს არ მიტეხავდა ისიც...
 თურმე ამირანი იყო, ძმა ბადრის და უსუპისი (გვ. 6).
 უსათაურო ლექსში შოთა ნიშნიანიძე ქართველებს მიმართავს:
 გიხაროდეს საქმე შენი – ნაფუნჯარი, ნაყალმარი,
 გიხაროდეს ქორწინება ამირანის და ყამარის (გვ. 152).
 ლექსში „ქართლი“ გამოყენებულია ხალხური „ამირანიანიდან“

პერსონაჟები, ფრაგმენტები და ფრაზები:

სანადიროდ წამოსულან ამირან და ძმანი მისნი,
 მთას ირემი აფრენიათ, ცასა სწვდება რქანი მისი,
 ჭალა-ჭალა, კორტოხ-კორტოხ მეძებრების ყეფა ისმის,
 ვაითუ, ირემს მიეწივნენ, ანდა კურდღელს, ბრალი მისი!
 – ეს რა ყივის ქარაფიდან? – კოშკი არი ცამცუმისი!
 – კოშკზე ორბი გადაფრინდა, – სული არი, დასტურ მისი!
 არაგვზე და იორზედა ბადეს ისვრის სულკალმახი,
 ბადეს თევზი მოჰყოლია სულ წვერა და სულ კალმახი...
 ეს ქართლია, ოქროს ქართლი! – ფალავნების საბრძანისი,
 ეს მზე, ეს ცა, ეს სიმღერა ალალ მისი! ალალ მისი!
 მითია თუ ზღაპარია, სიზმარი თუ სინამდვილე?
 ვითევზავებ, ვიმარტვილებ, ვიმღერებ და ვინადირებ.
 ალალ იყოს ეს მზე, ეს ცა, ახალდაბა, ახალშენი,
 წარსული და მომავალი ალალ შენი! ალალ შენი! (გვ. 21-22).

კლასიკური ეპოსის მოქმედი პირები: ამირანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, დალი, ამირანის ნათლია, დევები ფიგურირებს აგრეთვე ლექსში – „პურის მკა ალგეთზე“ (გვ. 33-34).

პოეტი უსათაურო ლექსში საუბრობს ცეცხლის მოპარვის შესახებ (ამირანის ორეულმა პრომეთემ რომ მოპარა ღმერთს – ზევსს).

(ადამიანს კი არა აქვს ღვთაებრივი ცოდნა!)

მინდა ყოველგვარი თეორია და მისტიკა

ისე მესმოდეს, როგორც ხალხური ლექსი,

ჭეშმარიტი სიბრძნე ღმერთებმა თავისთვის დაიტოვეს,

სიბრძნე უნდა მოვპაროთ ღმერთებს, როგორც ერთ დროს ცეცხლი!

(გვ. 265).

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში არცთუ იშვიათად არის ჩართული სხვა მითოსური პერსონაჟები, როგორიცაა: დალი, ალი, როკაპი, ჭინკა, დევი, ოჩოკოჩი, ოჩოპინტრე, ვეშაპი, გველეშაპი, ურჩხული, აი, ისიც!

დალი: ერთი გოგო მომეწონა – ირმის ჯოგს წველიდა მთაში,

თუ ქალღმერთი დალი იყო, ბრიყვმა რა ვიცოდი მაშინ (ქართული ზღაპარი, გვ. 6).

ალი: ქანაობს პატარა სამწყესური, ნიკორას რქებზე და თხის კუდზე,

ალი ნაწნავებით აბრიალებს წყალში მოჰყუმპალე ხის კუნძებს (უსათაურო, გვ. 9).

როკაპი: გზაჯვარედინად გაიკლავს ბედი როკაპი
და მოგაწივლა, მოგასივლა გველის ორკაპი (სააკაპის სამი ცხენი, გვ. 19).

ჭინკა: ჭინკების გამტყვრალი მეწისქვილე დაიჭირეს და გაპარსეს,
მისი წისქვილი და ყაბალახი ცხენებს გამოაბეს ფაფარზე (უსათაურო, გვ. 9).

დევი: ამირან დარეჯანის ძემ მთელი ეს მინდორ-ხევები
მოჰფინა ძნებით.. ზვინებით – თავებდაჭრილი დევებით (პურის მკა
ალგეთზე, გვ. 33).

ოროპინტრე: როხროხოზენ გლეხები, როგორც ლხინში სჩვევიათ,
ის თუ ოროპინტრეა, ეს ნამდვილი დევია (ქართული ბაზარი, გვ. 382).

ოროკოჩი: გიორგობის თვეში ნუნუა წვიმს ჩვენში,
გალეშილი ოროკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში,
გარბიან და გამორბიან გზები ალთაბალთას
და ღლაბუცობს ოროკოჩი ოქროსთმიან ალთან („იმერეთი...
გიორგობისთვე“, გვ. 67).

ვეშაპი: დიახ პოეტები გიდგამდით ეშაფოტს
შენ, თვითმპყრობელობის მრისხანე ვეშაპო (პოეზიის კალენდარი, გვ. 91).

პოეტი უსათაურო ლექსში მტრის სიმბოლოდ იყენებს ურჩხულსა და
გველეშაპს:

...თითქოს ამდენ ხანს კი არ ვცხოვრობდით,
მთვრალი ურჩხულის კუდზე ვისხედით.

მივჩერებივართ მომავლის ნაპირს, სუნი რომ ტყვია წამლისა უდის,
არ გამოფხიზლდეს ეს გველეშაპი, არ მოიქნიოს ეს რკინის კუდი
(გვ. 327).

შოთა ნიშნიანძე ლექსში „ელასა მელასა ანუ ქართული ნადიმი“
სიზმარში დიდებული რთველის აღსანიშნავად სუფრაზე მოუხმობს და
მასპინძლობს მითოსურ ღმერთებსა და გმირებს. აქ არიან აქილევსი და
მისი მოქიშპე ჰექტორი, თამადად ბახუსია, მერიქიფედ ოდისევსი – ელადის
გმირი, რომელიც კიკლოპის დათრობას ცდილობს. სხედან ლაჩრებიც და
რაინდებიც: აფშინა და მინდია. ბუხართან კენტად ამირან დარეჯანის ძე
ზის.

ზემოთ მოყვანილ ღვინის ღმერთს ბახუსსა და აგრეთვე ლხინის
ღმერთს დიონისეს იხსენებს პოეტი ლექსში „მკვიდრნი მარადისობის“. მისი
აზრით, დიონისე კოლხიდაში იზრდებოდა, კერძოდ ქუთაისში, ღმერთების
აგარაკზე.

...დიონისე – ლხინის ღმერთი (ვინც გვეხატა მარანზე),

კოლხიდაში იზრდებოდა: – ღმერთების აგარაკზე.

ბავშვობაში იქ დარბოდა, ცხენისწყალთან, რიონთან

მაშინ, როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვიოდა...

აქ დარბოდა და ტყეებში ალეს აწიოკებდა

აქ მღეროდა ჭურისთავზე ყელმაღალა დოქებთან...

ვაზის გვირგვინებით მოგვყავს დიონისე,
მოგვყავს დოვლათის და სიხარულის ღმერთი,
დაე, ლხინი იყოს საქართველოს ხვედრი,
ჰე, მამულო, ღმერთი შეგვიწირავს შენთვის (იქვე).

– ბახუ, ბახუ, ბახუდიაა! გასმახოდა გამდელი
და ღვთაებრივ ნაფეხურებს ასდიოდა ნათელი (იქვე, გვ. 10).

შოთა ნიშნიანიძე თავის შემოქმედებაში მოუხმობს ბიბლიურ
სახეებს, მოტივებსა და სიუჟეტებს. პოეტის ლექსებში ხშირად მოიხსენიება
ღვთისმშობელი მარიამი, იესო ქრისტე, წმინდა გიორგი და ანგელოზები.

უსათაურო ლექსში ნათქვამია:

ვთქვით და თუნდაც ოცნებაში უფალი შეგვწეოდა,
ღვთისმშობელი მარიამი საქართველოს სწვეოდა (გვ. 217).

ქრისტე ღმერთი პერანგს იხდის და ანძაზე ჩამოკიდებს აფრად (იოანე
ბერი, გვ. 125).

ანდა: მზე ესვენება ხმლის მაგიერ ქართულ ქარქაშში
და უხმოდ ტირის ყრმა იესო დედის კალთაში (მონღოლები, გვ. 131).

ლექსში „ცოტნე დადიანი“ ვკითხულობთ:

იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური აფრიდან,
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან აფრინდა? (გვ. 125).

ანგელოზების შესახებ პოეტი ამბობს:

მოსულა ანგელოზი – ცა შუქით დასერილი,

– წამოდი სამოთხეში... და წაყვა კატერინა...

გალობენ ანგელოზნი – სხივებად ატევირდნ.

– კურთხეულ იყავ, დაო, კურთხეულ, კატერინა! (სიმღერა კატერინაზე,
გვ. 363).

თავის პოეტურ ქმნილებებში შოთა ნიშნიანიძეს დადებით ბიბლიურ
პერსონაჟებთან ერთად გამოყვანილი ჰყავს უარყოფითიც, როგორცაა, ეშმა
– ეშმაკი – სატანა. პოეტი წერს:

ყოველ ნაბიჯზე მელოდება სამოთხის კარი

და ყოველ კართან ეშმაკია დარაჯად მდგარი (ცოდვილი, გვ. 186).

წელან დავინახე, წელან ბორცვიდან...

ეშმა და ანგელოსი ერთმანეთს კოცნიდა (სიზმარი, გვ. 458).

პოეტი წინააღმდეგია წყალბადის ბომბის გამოგონებისა, ის
მშვიდობისაკენ მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ხალხს და ამბობს:

...ეჰ, ბებერ ფაუსტს ხელთ უპყრია წყალბადის ბომბი,

შიგ დამწყვდეული თვითმკვლელობით და პარაკლისით,

ერთიგ რომ მოსწყდეს... ეს სიკვდილის იქნება თრომბი,

ახარხარდება სატანურად აპოკალიფსი... (იქვე, გვ. 27-29).

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს
ვაზს. პოეტმა კარგად იცის, რომ ვაზი, ვენახი სისხლხორცეულად არის
დაკავშირებული ქართველ კაცთან, რომ საქართველო ცნობილია ვაზის
სამშობლოდ, რომ ვაზი ღმერთმა პირველად ჩვენს ქვეყანაში გააშენა და ამ
ქვეყანას ვაზის იდენტურად მიიჩნევს, ის აღნიშნავს:

...ეჰეი, ამერ-იმერო, ღმერთების დიდო ვენახო,

ვაზის ადგილის დედაო, ვაზივით გამძლე მენახო (ვაზის სიმფონია,
გვ. 153).

პოეტის აზრით, ვაზი ღმერთის სული და სისხლია, ხოლო ის მიწა, რომელზედაც ვაზი, ღმერთის ტანია, რომელიც ქვევრებად, დოქებად, ქოთნებად და კეცებად „დანაწილდა“:

ვაზო, ვაზო, ღმერთის სულო, ღმერთის სისხლო, სხეულო,
ქართულ ლექსში და ანბანში გემდეროს და გეხუვლოს...
დანაწილდა ღმერთის ტანი დოქებად და ქვევრებად,
ად და კეცებად – კერის ბედნიერებად (მკვიდრნო მარადისობის,
გვ. 10-11).

ლექსში „ნატვრა“ პოეტი იხსენებს ლეგენდას იმის შესახებ, როდესაც ღვთისმშობლის დავალებით წმინდა ნინომ თმებით ვაზის ლერწი შეკრა, გააკეთა ჯვარი და გამოემართა ქართლში ქრისტიანობის საქადაგებლად:

... „ვაზო, შვილივით ნაზარდო“ – უთქვამს წინაპარს,
მირონი იცხო ვაზის ჯვრით და გზა გაილამპრა (ვაზის სიმფონია,
გვ. 153).

ასევე: ბედი, შექმნილი ჩალისფერ დროშით
და ნინოს თმებით შეკრულ ვაზიდან,
ხალხის მარჯვენამ ახლანდელ დროში
უფრო და უფრო მაღლა აზიდა (შენ ხარ ვენახი, გვ. 442).

შოთა ნიშნიანიძე თავის მხატვრულ შემოქმედებაში უხვად იყენებს ხალხურ პოეზიას. მის ლექსებში ხალხური პოეზიის ტექსტები შესულია როგორც უცვლელად, ასევე, ნაწილობრივი ცვლილებით.

პოეტის ლექსი „ვახტანგ მეფე“ იწყება ხალხური ლექსის სტრიქონებით: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან ჩამოესმა რეკა“. პოეტი ასე ცვლის შემდეგ ფრაზებს: ღვთის ნებით და ღვთის კარნახით სპარსნი ქართლით გადარეკა (გვ. 61).

ლექსში „თევდორე“ პოეტი კვლავ ზემოთ ხსენებულ ხალხურ ლექსს მიმართავს და ცვლის ზოგიერთ სიტყვას:

...წმინდა ბერი ლოცვად დადგა... ციდან ჩამოესმა რეკა...
თრიალეთთან მტერი მოდგა... დიდმა მთებმა იწყეს დრეკა (გვ. 117).
თევდორეც გორგასალივით ღმერთთან საუბრობდა:
...ყელს ეკიდა ქრისტეს ჯვარი – გამგებელი საუფლოთა,
წმინდა იყო, სათნო იყო, ცაში ღმერთთან საუბრობდა (გვ. 116).

აქვე ურთავს ხალხურ ლექსს მეფე ერეკლე II-ის შესახებ. ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვია,
ჩაუგდიათ საჩალეში, მონადირეს უპოვნია.
შოთა ნიშნიანიძე თევდორეზე წერს:
ბალღობაში ნუკრი იყო, თრიალეთზე ბალახობდა,
თეთრი ირმის ძუძუს წოვდა და ალგეთში კალმახობდა (იქვე).

ლექსში აგრეთვე გამოყენებულია დემეტრე II-ის „შენ ხარ ვენახი“ ინტერპრეტაციით:

შენ ხარ ვენახი აჩეხილი, მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი... (გვ. 117).

პოეტის ლექსს „ვისი სული გსურს? ანუ სპირიტუალი სეანსები“

(სეანსი III) ეპიგრაფად წამმდვარებული აქვს: „როგორც კი სვეტიცხოვლის თაღზე ამოკვეთილ ხელის მტევანს მივაშტერდები, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ხელში მჭეროდეს ოსტატის მარჯვენა. ნუთუ ტაძარმა ხელი ჩამომართვა? ო, ხუროთმოძღვრის უკვდავო სულო, ისევ მოევლინე საქართველოს, ისევ შესვი ხეკორძულას წყალი, ისევ აღაშენე სვეტიცხოველი, თუნდაც მკლავი მოგკვეთონ, თვალები დაგვთხარონ, ენა ამოგგლიჯონ“ (გვ. 324). აქვე, მეორე ლექსში „არსაკიძისეული ანუ წარსულის ოსტატთა სამდურავი სოფლისადმი“ წერს:

სვეტიცხოველს თუ ააგებ უფლისათვის ტარიგია;

დაგიჭერენ, მკლავს მოგჭრიან – რატომ კარგი აგიგია... (გვ. 324).

ლექსში „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“ ჩართულია ამავე ხალხური ლექსის სიტყვები:

ქვესკნელს ჩავსულვარ ვარძიად, ცად ავვარდნილვარ ხერთვისად,

მეც მისვამს წყალი ალგეთის, ხეკორძულისა, მცხეთისა (გვ. 24).

ხალხური ლექს-სიმღერა „თხამ ვენახი შეჭამა“ მოხსენიებულია პოეტის ლექსში „ელასა–მელასა ანუ ქართული ნადიმი“:

ვაზი ისე მოისხა მესერმაც და შეშამაც,

ველარავინ იტყოდა: „თხამ ვენახი შეჭამა“ (გვ. 37).

პოეტის ლექსში „ჩემი ქართულის მასწავლებელი“ გამოყენებულია ფრაზა ხალხური ლექსიდან:

და, როგორც ანდერძს ხშირად ვისმენდით:

„მხოლოდ ის არის სწავლის მიზანი,

რომ დაიზარდოთ სწორედ ისეთნი,

როგორც ალგეთზე ლეკვნი მგლისანი!...

ირემო, ბარად ჩამოვარდნილო,

თუ მოგეწევა ჟამთა ისარი,-

აყმუვლდებიან შენი დაზრდილნი,

როგორც ალგეთზე ლეკვნი მგლისანი!... (გვ. 57).

ლექსის მეორე ტაეპის დასაწყისში ვხვდებით, აგრეთვე, ხალხური ლექსიდან ფრაზას, აი, ეს ხალხური ლექსი:

– ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადა?

– მეუღლე მტერმა მომიკლა, დავეხეტები ცალადა.

პოეტი ლექსში – „სინანულში“ იხსენებს ყივჩაღს, რომელიც მუხრანის გზაზე ქართველ კაცს შემოეყარა:

რად ამიხირდი, როგორც ყივჩაღი, (თუმცა ყივჩაღი იყო ვაჟკაცი),

შენ კი ქურდულად მეცი ჩიჩახვზე, გაალმასებულ კბილთა კაწკაწით (გვ. 389).

ასევე, იგი იგონებს სურამის ციხეში ჩატარებულ ზურაბს, რომელსაც თავის სხეულში ჩატანებულ ლექსს ადარებს. აი, ისიც:

რა განგებამ დამწყევლა, რა სულმა და სატანამ,

ზურაბივით სხეულში ლექსი ვინ ჩამატანა.

სანამ გამიჩნდებოდი, რა იმედად მოჩანდი!

– შვილო, ზურაბ სადამდი?

– ვაიმე, დედა კოჭამდი... (გვ. 479).

ხალხური სატრფიალო ლექსის ფრაზებს იყენებს პოეტი თავის ლექსში „მთიულური ცეკვა“:

თვალი მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა,
 – მე ვარ მახვილი შიშველი, შენ ხარ ლერწამი წერწეტა (გვ. 480).
 შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ სიმღერებს, გალობას. ლექსში „ქართული ზღაპარი“ პოეტი წერს:
 ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო, ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი
 ბონდის ხიდი მაპოვნიე, ზღაპრის ხიდი... ოქროს ხიდი... (გვ. 6).
 აქ გამოყენებულია სატრფიალო ლექს-სიმღერა „ინდი, მინდი, ფერად შინდი“, „ოღონდ „ინდი, მინდი“ შეცვლილია „ფრინდი, ფრინდით“.
 ამავე ლექსში ნათქვამია:
 გზაში ბერი გადამიდგა, შემომცინა გიხაროდენ,
 წადი, შვილო, და რაც ნახე, ქართული ხმით იგალობე (იქვე).
 ჩამოვთვალოთ სხვა ხალხური ლექს-სიმღერებიც, რომლებიც ფიგურირებს შ. ნიშნიანიძის პოეზიაში, ესენია: „ვეფხი და მოყმე“, „ლილეო“, „იავნანა“, „ურმული“, „კრიმანჭული“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „შენ ხარ ვენახი“, „ლაშქრული“, „სულიკო“, „ვოუ ნანა“, „სისა, ტურა“, „ჩაგუნია, ჩაგუნა“, „ოდოია“, „ჩარი-რამა“, „ჰოპუნა“, „ვარადა“, „მირანგულა“, „ურაიდა-რაიდა“, „მასვი, მაჭამე მალხინე“, „ოუ ჩელა, სიჩერჩელა“, „ოცდახუთსა დეკემბერსა“ და სხვები.
 პოეტის ლექს-სიმღერებს ზოგჯერ ახლავს მისამღერები – რეფრენები, როგორიცაა: „ოდელა-დელი-დელა“, „ნანა“, „აბა, დელი, აბა დელი, დელია“, „ოუ ნანა“ და ა.შ.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, შოთა ნიშნიანიძის ლექსების უმრავლესობას სიუჟეტით, მოტივებით, სახეებით, ასევე, მეტრით, რიტმით, ინტონაციით, ლექსიკით ზეპირსიტყვიერების გავლენა ამჩნევია. ხალხურ რეალიებს პოეტის ლექსებში სტილისტური ფუნქციაც აქვს დაკისრებული. პოეტის მხატვრული ენაც ხალხური მეტყველებიდან მომდინარეობს. ხალხური ცოცხალი მეტყველებიდან იღებს სათავეს, აგრეთვე, გამომსახველობითი ხერხები და მხატვრული აქსესუარები. ზეპირსიტყვიერების გამოყენებით პოეტის ლექსები მეტი ბუნებრიობით, უბრალოებითა და მუსიკალობით გამოირჩევა, რითაც მკვიდრ ადგილს იჭერს თითოეული მკითხველის გულსა და გონებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ნიშნიანიძე 1988: ნიშნიანიძე შ., უპირველეს ყოვლისა. თბილისი, 1988.